პატარა კორას ამბავი



# კორაბორაცია

თინათინ სალაყაია

პატარა კორას ამბავი



# კორაბორაცია

თინათინ სალაყაია

# ავტორის წინათქმა

მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს საყვარელ და ერთგულ ადამიანებს, რომლებიც მამხნევებდნენ და მეხმარებოდნენ ამ წიგნის წერისას. უპირველეს ყოვლისა დიდი მადლობა ჩემს ლიტერატურულ აგენტს სოფია წულაძეს და ჩემს უსაყვარლეს მეგობარ ხათეს, რომელთა დიდი ძალისხმევითაც შეიქმნა და გამოიცა ეს წიგნი, რომელთაც ბოლომდე სწამდათ ჩემი და ერთი წამით არ შეჰპარვიათ ეჭვი წიგნის წარმატებაში; მადლობა ილუსტრატორს, ჩემს საყვარელ მეგობარს ხუჭუჭა ლოლის, რომელმაც ზუსტად ისეთად დაინახა და შექმნა კორა, როგორადაც მე წარმომედგინა; ასევე, მადლობა მის მეუღლეს, ლაშა მეუნარგიას სასარგებლო და საინტერესო რჩევებისთვის; მადლობა გიორგი შოთაძეს, ჩემი ბავშვობის მეგობარსა და წიგნის რედაქტორს, რომელმაც მიუხედავად მისი მოუცლელობისა, ჩემთვის მაინც გამონახა დრო და მთელი გული და სული ჩადო წიგნის დაბადებაში; მადლობა ნარგიზა მასწს სიყვარულისთვის, ტექსტის რედაქტირებისა და გვერდში დგომისთვის; ასევე, მადლობა ნინო გოგალაძეს ტექსტის რედაქტირებისთვის; მადლობა დაუღალავ ექიმ–ინფექციონისტ ქ–ნ მარინა ჯანგავაძეს, რომელიც მიუხედავად უამრავი გათენებული ღამისა (პანდემიის პერიოდში), თავისი მზრუნველობითა და ყურადღებით ძალას მმატებდა, რომ მშვიდად გამეშვა კორა თავის გზაზე; მადლობა ჩემს უსაყვარლეს შვილებს კოკის და ტუსიკოს, რომლებსაც ავადმყოფობის პერიოდში ერთი წამით არ დავუტოვებივარ მარტო და ბოლომდე სჯეროდათ ჩემი გამოჯანმრთელების და მეც დამაჯერეს; მადლობა ჩემს ყოფილ მეუღლეს იმ პერიოდში ჩემზე ზრუნვისთვის; მადლობა დედაჩემს კოვიდის დროს რკინის ჯამით შემოწოდებული ულუფისთვის, მადლობა მას სიცოცხლისთვის და იმისთვის, რომ ასეთად მომავლინა ამ ქვეყანაზე; მადლობა ჩემს ბიძაშვილებს ნათია და მაკუნა ხუციშვილებს და ჩემს უსაყვარლეს მეგობრებს გამხნევებისთვის; მადლობა ჩემს წურბელას, ჩემი გულისა და სულის ნაწილს ეკატერინე გურამიშვილს, შორიდან მზრუნველობისთვის. ვიცი, ძალიან ეშინოდა, ვერ მეკარებოდა, მაგრამ მაინც არ მასვენებდა და დღეში ასჯერ ტელეფონით მამხნევებდა; მადლობა ნინის, თათიას, მუჯირას, ანის, ნინიკოს, ნუნუკას და ირინა წეროძეს გვერდში დგომისთვის. მადლობა ნანიკო ჩხაიძესა და ირინა აბულაძეს სტიმულის მოცემისთვის. მადლობა ჩემს თანამშრომელ გვანცას და მის შეყვარებულს, ერთად წაკითხული „კორასთვის“ და ემოციებისთვის.

მადლობა რატი ამაღლობელს, გიორგი კეკელიძეს, იუნონა გურულს, სოფიო ხუნწარიას, თამუნა თვალავაძეს თანადგომისთვის!

მადლობა წიგნის მთარგმნელებს დაუღალავი შრომისთვის!
მადლობა ყველა ადამიანს, ნაცნობს თუ უცნობს, ჩემი წიგნის წაკითხვაში დახარჯული დროისთვის!

და ბოლოს, მადლობა ჩემს ექსებს იმ განცდებისთვის, იმ ძალისხმევისთვის, იმ სიხარულისა და ტკივილისთვის, რომელმაც ასეთ თიკად გამომძერწა და თიკამ კი ასეთი კორა გაჩუქათ!



ვარ დედისერთა, მოკისკისე გოგო. დავიბადე რომელიღაცა წლის 15 დეკემბერს, ქ. თბილისში, სიკეთისა და სიყვარულის ქალაქში. ხმაურით მოვევლინე დედამიწას. ექიმები გაოგნებული დამცქეროდნენ თურმე, როდესაც ტირილის ნაცვლად ხმამაღალი კისკისით გამოვძვერი დედის მუცლიდან. სხვა თუ წლობით იზრდებოდა, მე კისკისით ვიზრდებოდი. ვკისკისებდი და კისკისებდა ჩემს ირგვლივ ყველა. ვკისკისკისებ მაშინ, როცა ძალიან კარგად ვარ და მაშინაც, როცა ყველაზე ცუდად ვარ. ასე კისკის–კისკისში გავატარე 44 წელი და მივხვდი, რომ სამყარო ზუსტად ისეთია, როგორისაც შენ თავად შექმნი! ოღონდ, იკისკისე!

# ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ:

2020 წლის დასაწყისში ისე უცებ შეიცვალა სამყარო, თითქოს დედამიწა გადატრიალდა... კოვიდ 19–მა კაცობრიობას საკუთარი წესები უკარნახა და მოსთხოვა, ისე გაეგრძე–ლებინათ ცხოვრება, როგორც მას სურდა. თავისუფლებისმოყვარე ადამიანები უნებლიეთ აღმოჩნდნენ ამ უცნობი ვირუსის შიშის ტყვეობაში. დედამიწის მილიონობით მკვიდრის წინააღმდეგობის მიუხედავად, უხილავმა მტერმა მაინც მოახერხა, თავისი ძალაუფლებით გამოწვეული გამარჯვება ეზეიმა, თუმცა დროებით... მეც მესტუმრა. მესტუმრა და მივხვდი, მასთან ბრძოლას ჯობდა, ისევ მისი ასავალ–დასავალი გამერკვია, მეგობრად გამეხადა, მისგან მოტანილი პანიკა, განცდები და უარყოფითი ემოციები ადამიანთა სასიკეთოდ გამომეყენებინა... ასე შემოვიდა ჩემს სახლში, ჩემს სამეგობროში კორა–კორონა–კოვიდი. პატარა ციცქნა კორა, რომლის ისტორია ამ პატარა მოთხრობაში ჩაეტია და რომელმაც მისი სტუმრობით გამოწვეული შიში გაანელა, შეამცირა და ჩვეულებრივ ამბად აქცია. ასე გახდა კორა ჯერ ფეისბუქზე ჩემი გვერდის ყოველდღიური პერსონაჟი, შემდეგ ვირუსისგან იმედწართმეული ადამიანების  მეგობარი და კეთილისმსურველი... მარტო ვერ დავტოვებდი. მისი ჩემს ოჯახში გარკვეული დროით სტუმრობა და მასთან გამომშვიდობება არც ისე იოლი იქნებოდა. ამიტომ ჩემი ბავშვობის ყველაზე საყვარელი გმირი – ეგზიუპერის პატარა უფლისწული უნდა გამეცნო მისთვის – მისი გაკეთილშობილებისათვის, მისი გაადამიანურებისათვის. ამიტომ კორას ისტორიებში ჩემი პატარაობის  ანარეკლიც გამოჩნდა უფლისწულის სახით... „მე პატარა უფლისწულთან გავიქეცი... რომ მისთვის მაინც გამეზიარებინა ჩემი სიხარული. შენთან კი არასოდეს დავბრუნდები... მინდა, რომ სულ გიყვარდე, სულ გენატრებოდე და სულ მელოდებოდე!“ მეც ამ სურვილით მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი ნაფიქრალ–ნაღარდი. იმედი მაქვს, მკითხველი მიხვდება, რატომ, რისთვის შეიქმნა ის და იმედი მაქვს, ისევე თბილად, უშიშრად გააცილებს კორას მისი ცხოვრებიდან, როგორც ეს კორას შემქმნელის შემთხვევაში მოხდა... ჩვენ მისი აღარ გვეშინია! თქვენც ნუ შეგეშინდებათ! იგი სიყვარულით სავსე დადის დედამიწაზე.

# კორა

# ნაწილი I

## დღე პირველი

### გაცნობა

დილით ვდგები. გემო–ყნოსვა დაკარგული მაქვს.

ინფექციური... კოვიდდადებითი...

ჩემი რეაქცია: უი...

ვჯდები მანქანაში. გვერდით დაჭყანული გოგო მიზის, კიკინებიანი.

ცოტა პეპის წააგავს, მაგრამ უფრო შავტუხაა, ბუთქუნა და შტერი.

– შენ ვინ ხარ? – ვეკითხები.

არ მპასუხობს. ვაგდებ მანქანიდან. არ მიდის.

ჯიუტად ზის და არაფერს ამბობს. მაკვირდება–ცოტა უცნაურღიმილშერეული.

მანქანას ვაჩერებ. სწრაფად გადმოვდივარ და სახლში ავდივარ.

არ მომყვება...

სიცხე არ მაქვს. არც მახველებს, არც სისუსტე, არც სახსრების ტკივილი.

ცოტა სურდო.

არავის ველაპარაკები ექიმის გარდა, რომელიც დანიშნულებას მაძლევს.

ნერვები მაქვს მოშლილი, სახლში რომ უნდა ვიჯდე 12 დღე.

თან ცოტა მეშინია, ჩემს ავადმყოფ კუჭს არ ხიოს და მერე ორივემ ერთად – მე.

„ნეოლაბში" ვრეკავ და ხვალისთვის ანალიზებზე ვეწერები.

დილით მოვლენ.

ვერ ვითმენ დილამდე და ვიძინებ...

გამთენიისას სიმაღლიდან ჩამოვარდნის ხმა მაღვიძებს.

ბდგრშ...წამოვჯექი ლოგინში შეშლილივით.

ისევ ის შავტუხა „პეპი" კიკინებით. ძირს გორავს და კისკისებს.

შუქს ვანთებ.

– აუუფ, შენი კარადიდან ზღართანი გავადინე,– ძლივს მაგებინებს სიცილით.

– და... შენ ვინ ხარ, გამაგებინე  ან აქ რა გინდა ? – ვეკითხები.

მე... მე... მე კორა ვარ, კო–რო–ნა, – მპასუხობს დამარცვლით და ისევ კარადის თავზე ხტება.

ზემოთ მოიკალათა. ბუთქუნა ფეხები ჩამოუშვა, იქიდან კი ნამდვილი პეპის მსგავსი

ყვითელი და მწვანე ფერის წინდები გამოუჩნდა. შარვლის ტოტები გაისწორა, ზოლიანი

მაისური ჯინსში ჩაიტანა და ფეხები ააქანავა.
შავი ვეებერთელა თვალის გუგები, პატარა „კნოპკა“ ცხვირი და არაპროპორციული ტუჩები – ზედა პატარა, ქვედა ზედაზე ოდნავ დიდი. ორი ცალი გრძელი შავი ნაწნავი სტაფილოსფერი და ღია ცისფერი ბაფთით შეკრული. გამხდარი, ჩაჩხვლეტილი ლოყები და მუდამ სევდიანად მოღიმარი სახე.

– ეს ჩემი სახლია, 12 დღე აქ ვიცხოვრებ, – მითხრა და ისევ გადაიკისკისა.
მე ჩამეძინა. იმას – არ ვიცი.



# დღე მეორე

## შეგუება

დილა... 9 საათი...
კარზე ზარი.
„ნეოლაბია“.
ვენები ძლივს დაიმორჩილეს სისხლის ასაღებად.
მცოცავი ვენები მქონია, ანუ ხტის, როცა ნემსი შედის და სკდება – ჩემსავით ცელქია.
სამი ჩხვლეტა და მეოთხეზე შევიდნენ.
კორა ექიმს უდგას გვერდით და ყოველ ჩხვლეტაზე თვალებს ხუჭავს, ჩემსავით ეშინია.
ექიმს ჩემი შვილი ჰგონია და ეფერება. თან უკვირს, პირბადის გარეშე რატომ არის ჩემს ოთახში.
...პასუხი საღამოს იქნება.
ექიმი წავიდა.
– ძალიან გეტკინა? – მეკითხება.
– არც ისე,– ვპასუხობ მე.
– ნემსის მეშინია, ვერ ვუყურებ ჩხვლეტას, უბრალოდ, მარტო არ დაგტოვე.
– საერთოდ, რომ არ მოსულიყავი, არც მიჩხვლეტდნენ, – ვპასუხობ მე.
– მოვედი იმიტომ, რომ სამუდამოდ წავიდე.
...ვერაფერი გავიგე, აღარც ვეკითხები, ნერვებს მიშლის.
ნანამ საუზმე შემომაწოდა. რომ შეეძლოს დედაჩემს, მეორე კედელსაცააშენებდა ჩემსა და მას შორის, ისე ეშინია.
...ყიყლიყოს ვჭამ – ჩალის გემო აქვს.
ჩაის ვსვამ და – ფსელის.
– აბა, გამასინჯე ყიყლიყო, რა! – მეუბნება და გვერდზე მიჯდება.
შუაზე ვუყოფ და ვაძლევ.
– არ გადაგელოს, – ვეუბნები და ორივეს სიცილი გვიტყდება.



– აუუ, რა გემრიელია! – ხტება უცებ ფეხზე და გულზე ხელებს იბაგუნებს სიამოვნების ნიშნად.
– შენი გემო მეეეე მაქვს, შენი გემო მეეე მაქვს... – თან ყურში ჩამძახის.
გავეკიდე, რომ, სადაც დავიჭერ, მივახრჩო, მაგრამ ვერ ვიჭერ, კალიასავით დახტის...
მარბენინა 15 წუთი და აქოშინებული დავეხეთქე ლოგინზე.
– ვარჯიში გარგებს, ახლა ამიტომაც ვერ დამიჭირე, – მეუბნება.
ხტება ისევ კარადის თავზე, იღებს თავის პოზას და ფეხების ბაკუნს იწყებს.
ჩამეძინა...

# დღე მესამე

### ტუსიკოს დაბადების დღე

ყურში კორას ჩურჩულნარევი სიმღერა მაღვიძებს:

რა ლამაზი დღეააა, რა ნათელი მზეააა,

იმიტომ, რომ დღეს ტუსიკოს დაბადების დღეააააა!!!

– ჩქარა გაიღვიძე, დღეს შენი ტუსიკოს დღეა . ვინმემ არ დაგასწროს მილოცვა, – მაფრთხილებს ქალბატონი.

„აუ, ესღა მაკლდა რა! თან შვილის დაბადების დღეს რომ მახსენებს და თან დილით მაღვიძებს", ვფიქრობ და სასწრაფოდ ვდგები ლოგინიდან.

ტუსას ვურეკავ და ვულოცავ... ნერვები მეშლება, რომ ვერც ვნახულობ და ვერც ვეხუტები.

– რომ არ მობრძანებულიყავი, ჩავეხუტებოდი ჩემს შვილს, მოიყვანდა თავის მეგობრებს და იმხიარულებდა. მოხვედი და გააფუჭე ყველაფერი. გამოკეტილია სახლში, იზოლაციაშია ბავშვიც, – შევყვირე სახეში.

უცებ ჩამოიღვენთა.

არაფერი უპასუხია.

არ ველოდი...

საღამომდე ხმა აღარ გაუცია. იჯდა თავისთვის კარადის თავზე, საკუთარ გაბუთქუნებულ თითებს მიშტერებოდა და ფეხებსაც აღარ აბაკუნებდა.

რამდენჯერაც ოთახში შევედი, იმდენჯერ გამოვაღე კარადა, ვითომ საქმე მქონდა და თან მზერას ჩუმჩუმად მაღლა ვაპარებდი. ის კი ისევ თავისთვის იჯდა და ხმას არ იღებდა, არ მიყურებდა.

დედაჩემმა სადილი შემომაწოდა რკინის ჯამით – ციხეში რომ პატიმრებს აჭმევენ, ეგეთით... ან სად იპოვა?! ჯამს არც ეხება თან.. ძალიან მშიშარაა და ცდილობს, ზედმიწევნით დაიცვას ყველა რეგულაცია. უფრო მეტიც, ლოგინშიც კი პირბადე უკეთია და იმ ნივთებს არ ეხება, რომელსაც მე ვეხები.. თან ასაკშია და მესმის მისი.. თან ექიმია ... ხოდა, ასე, მე ვდებ შემოსასვლელში კომოდზე ჯამს, ის შემოდის სხვა თეფშით და ატყეპებს ჯამში სადაფავივით საჭმელს. მერე, ვახშამიც მოვიდა და არცერთზე არ ჩამობრძანებულა კარადიდან...

მთელი დღე სერიალის ყურებაში გავატარე და ბოლოს დასაძინებლად შევედი.

– არ გშია? მთელი დღე მშიერი ხარ, – ვკითხე ისე, ზრდილობის გულისთვის.

თავი გაიქნია.

– იცი, თიკა, მე არასოდეს მეყოლება შვილები – უფლება არ მაქვს და ამიტომ.

დღეს ტუსიკოსთან ერთად გართობა მინდოდა და შენი სიტყვების მერე გადავიფიქრე. თითქოს ჩემი ბრალი იყოს, ასეთად რომ გავჩნდი, – მითხრა და ცრემლი ჩამოუგორდა...

ისე გავეხვიე თბილ ლოგინში, არაფერი მიპასუხია.

ჩემთვის ვფიქრობდი:

მართლაც და, რა მისი ბრალი იყო, ასეთად რომ მოევლინა დედამიწას?!

# დღე მეოთხე

## დამეგობრება

დილის 8 საათზე ხმამაღალი კისკისით მაღვიძებს.

– ხომ მშვიდობა გაქვს, ამ დილაუთენია რა გაკისკისებს? – თვალების ფშვნეტით ვეკითხები ამ თხაკიკინას.

– მთელი ღამე ისე ბოდავდი და ისეთ სასაცილო ამბებს ჰყვებოდი შენს მეგობრებზე...

– მაინც, რას ?

– რას და, რომელიღაც მეგობარს, გრძელკისერა ბოკუჩავას ახსენებდი, ფსიქოლოგის გარდა ყველაფერიაო, მთელი ცხოვრება ვატყუებო და ყოველ ჯერზე ტყუვდებაო.

მერე, შენს მეგობარს „დედოფალა" თათოს – სანაგვიდან კატა რომ ამოუხტა, სახეში რომ ეცა და დაპორჭყნა, ეგ ამბავი მოყევი. დები კახაძეებიო – ერთი სულ თამადა რომ არის და მეორეს ძალიან გრძელი ფეხები რომ აქვს – მუდმივად ლოგინიდან გადმოგდებულიო. სამსახურში კარადაში რომ იმალებოდი და ბულალტერ ვიკას აშინებდი, – ეგეც. ათასჯერ გათხოვილი შენი უფროსი ირინა და ათასი მილოცვები. მოგონილი ისტორია თაზოს ვითომ მსუბუქი ყოფაქცევის რუს ცოლ – ლუდმილაზე, გელას „ლუქები", ბარსელონაში ჩატარებული ოინები და ხუთკუნჭულას ამბავი. მერე ძველ და ახალ შეყვარებულებსაც გადასწვდი და ასე... მოკლედ, ყველაფერი გავიგე ერთ ღამეში შენზე და ძალიან ვიმხიარულე.

მთელი ღამე გისმენდი და ვიცინოდი და დილით თავი ველარ შევიკავე და გადავიკისკისე. მაპატიე, თუ გაგაღვიძე.

...ავბანცალდი და წავბანცალდი აბაზანაში დილის პროცედურების ჩასატარებლად.

გამოვედი თუ არა, დამხვდა დასკუპებული მაგიდასთან. თეფშები დაულაგებია და დედაჩემს ელოდება, რომ საუზმე შემოგვაწოდოს... ამ დღიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა... ერთად ვჭამდით, ერთად ვუყურებდით ფილმებსა და სერიალებს, ერთად ვკითხულობდით, ერთად ვიცინოდით, ერთად ვმღეროდით, ერთად ვცეკვავდით და ვვარჯიშობდით, ბუშტებსაც კი ერთად ვბერავდით და საძინებელშიც წინ და უკანაც ერთად დავდიოდით, რომ დიდი ხანი არ ვწოლილიყავი. ვბრაზდებოდი, მე რომ გემოს ვერ ვგრძნობდი, ის კი გემრიელად იღუკმებოდა. ის ჩემს გაბრაზებაზე ერთობოდა და მორჩენილ სურდოს ისევ თავიდან მიგზავნიდა ზუსტად 5 წუთით.

...ერთხელაც, წამოწოლილი ვარ და დაჭრილი ფორთოხალი მომართვა. თეფში გვერდით დამიდო და უცებ სუნი ვიგრძენი, სუნი! გესმით, სუნი! ვეცი გიჟივით და ყველა ფორთოხალი გადავსანსლე, თან გემოსაც ვგრძნობდი და მიხაროდა. როგორც იქნა, დამიბრუნდა–თქო, ვყვიროდი. გავვარდი აბაზანაში, დავსუნე კბილის პასტა და... ჩემი ფეხები – გამოვვარდი უკან, ვეცი ფორთოხლის კანებს, მივიტანე ცხვირთან და ორჯერ – ჩემი ფეხები.

– ასეთია ეს თამაში, – მითხრა კორამ, ხან გრძნობ, ხან – ვერა!

ახტა კარადის თავზე, მიიღო თავისი ჩვეული პოზა და ფეხების ბრაგუნს მოჰყვა.

The Little CORA



# CoraBoration

TINATIN SALAKAIA

The Little CORA



# CoraBoration

TINATIN SALAKAIA

# ACKNOWLEDGMENTS

I would like to thank my favorite people who have supported and helped me while writing this book. First and foremost, many thanks to my literary agent Sofia Tsuladze and my close friend Khate, who put an enormous effort into creating and publishing this book, who believed in me and never doubted the success of this book. Many thanks to my wonderful illustrator, my curly-haired friend Dolly who saw and created Cora just the way I had imagined her, and lots of thanks to her husband Lasha Meunargia for insightful and useful advice; I'd like to extend my gratitude to George Shotadze, a friend of my childhood and the editor of the book, who, despite his hectic schedule still found time to put his mind and soul in the birth of this book. I'd also like to thank my teacher Nargiza for her love, her support, and editing of the text and thank Nino Gogaladze for reediting it. Many thanks to infectious disease doctor Ms. Marina Jangavadze who, in spite of many sleepless nights during the pandemic, gave me the courage and confidence to pave the road for Cora. A huge thank you to my dear children, Koki and Tusiko who never left my side during my sickness, believed that I would get better, so I did. Many thanks to my ex-husband for taking care of me in those difficult times. I am forever indebted to my mother for the food in a tin bowl when I was suffering from COVID-19, for giving me life and making me the way I am; Many thanks to my cousins Khutsishvili Natia and Makuna and my dearest friends for encouragement. My deepest gratitude to the part of my heart and soul Ekaterine Guramishvili for sending love from afar. I know she couldn't come near me for fear of catching the disease but called me bazillion times a day to cheer me up. Thank you Nini, Tatia, Mujira, Ani, Niniko, Nunuka and Irina Tserodze for your moral support. Thanks to Naniko Chkhaidze and Irina Abuladze for motivating me. And many thanks to my colleague Gvantsa and her boyfriend for reading "Cora" and for sharing their impression.

My sincere thanks to Rati Amaghlobeli, Giorgi Kekelidze, Iunona Guruli, Sophio Khuntsaria, Tamuna Tvalavadze for their support!

I thank all the translators for their hard work!

I thank all the people I know or don't know, who choose to spend some time on my book!

And thanks to the people I've loved for all the joy and pain that have molded me into Tika who has brought Cora to you!



I am an only child, a cheerful girl.
I was born on December 15 in Tbilisi,
the city of love and kindness.
My birth was a loud one. Reportedly
I laughed instead of crying that caused
bewilderment among doctors.
I have laughed since then and made
everyone around me laugh.
I laugh when I feel well, and I laugh
when I feel down. I have spent whole
44 years laughing and came to realize
that the world is just the way you
create it! So, laugh away!

# FOREWARD

In early 2020, the world changed abruptly as if the earth had turned upside down... Covid-19 dictated to mankind its own rules, and demanded that life should continue its way. Free-spirited people suddenly found themselves under the threat of this unknown virus. Despite resistance from millions of planet-dwellers, the invisible enemy celebrated its victory, and – albeit temporarily – visited me. Looking at the visitor, I realized that instead of fighting it, I had better investigate its identity, make friends with it, and channel the panic, feelings, and negative sentiments it brought for the good of people... This is how Cora-Corona-Covid penetrated my home, my inner circle of friends. A tiny little Cora whose backstory fit into this short novella, who gradually faded, diminished, and trivialized all the trepidation it caused. Thus, Cora became a daily character of my Facebook page, and then a friend and well-wisher of the people who had lost all hope because of the virus... somehow, I couldn't leave it alone. Enduring its brief visit to my family and saying goodbye to it would not be that easy. This is why I had to introduce it to my most beloved childhood hero – the Little Prince by Antoine de Saint-Exupéry – so that it became nobler, more humane. It's also why, the story of Cora reflects my childhood, in the form of the Prince... "I ran to the Little Prince... to share my joy with him at least. But to you, I will never return... I want you to love me, miss me, and wait for me forever!" This is the way I'd like to present my thoughts and concerns.

I hope the reader realizes why it was created, and I hope they will kiss Cora goodbye in the same way as Cora's creator did... We do not fear it! Don't be afraid! It walks the earth full of love.

# CORA

# PART I
## DAY ONE

### Introduction

Morning. I wake up with no taste or smell.

Infected. Covid positive.

My reaction: Oops…

I get in the car. A little girl is grimacing next to me, with pigtails. She looks a little like Pippi, but a bit darker, chubby, and foolish.

– Who are you? – I ask her.

She does not reply. I push her from the car. She refuses to leave.

Sitting there stubbornly, she keeps silent and observes me with an enigmatic smile.

I stop the car. Hurriedly get out and go to my apartment.

She does not follow me there…

I have no fever, no cough or tiredness, nor pain in the muscles.

Just a bit of flu.

I don't talk to anyone other than the doctor who gives me a prescription.

I am irritated that I have to stay at home for 12 days, and a little afraid, hoping it does not affect my ailing stomach, turning it against me.

I call the lab and make an appointment for the lab tests tomorrow.

They will come the next morning.

I can't wait till morning and hurriedly go to bed.

At daybreak, I wake up to a loud thump.

Wham! I sit up on the bed, my heart pounding.

There she is, the dark Pippi with her pigtails, rolling on the floor and giggling.

I switch the light on.

– Ooh, I fell from your wardrobe, – she chortles.

– Who are you and what are you doing here? – I ask her.

– Me? I'm Cora, C-o-r-o-n-a, – she spells out for me and jumps onto the wardrobe again.

She settles down, her plump legs hanging down. Like the true Pippi, she is wearing yellow and green stockings. She smooths down her pants, tucks her striped shirt in her jeans, and starts swinging her legs. Huge, dark eyes, a small, upturned nose, and disproportionate lips – the upper lip smaller, and the lower lip a little larger. Two long black pigtails tied with orange and light blue ribbons. Hollowed out cheeks, with dimples, and always wearing a sad smile.

– This is my home. I'm going to live here for 12 days, – she told me and giggled.

I go back to sleep. I'm not sure about her though.



# DAY TWO

## Adapting

Morning. 9 a.m.

Doorbell ringing.

It's the lab.

They struggled with my veins to get the blood.

My veins turned out to be shifting around, trying to avoid the needle, and then burst.

They are playful like me.

One, two, three punctures. The fourth was a success!

Cora stands beside the doctor and shuts her eyes at each puncture.

She's scared just like me.

The doctor thinks she is my daughter and coaxes her, wondering why she is not wearing a mask in my room.

The results will be available in the evening.

The doctor left.

– Was it too painful? – she asks.

– Not so much, – I answer.

– I am afraid of needles, I can't watch needle shots, but I didn't leave you alone.

– If you hadn't arrived, I wouldn't have to be punctured, – I tell her.

– I'm here so that I can leave forever.

I don't get her, but don't ask anything.



She’s getting on my nerves.

My mother Nana pushed a breakfast tray into the room. If she could, she would build another wall between us. That’s how much she’s afraid.

The eggy bread tastes like straw. I try the tea. It tastes like piss.

– Can I have some eggy bread? – she asks, sitting down beside me.

I divide it in half and let her have it.

– Be careful not to catch the virus, – I joke and we both laugh.

– Mmm, so delicious!

Suddenly she jumps up, beating her breast as a sign of pleasure

– I’ve got your taste; I’ve got your taste… – She is yelling in my ear.

I run after her, ready to strangle her, but I can’t reach her, she hops about like a grasshopper. We ran around for a quarter of an hour and I crashed on the bed, out of breath.

– You need exercise, that’s why you couldn’t catch me, – she tells me and jumps up to the top of the wardrobe again, strikes a pose, and starts swinging her feet, banging on the wardrobe.

I fall asleep.

# DAY THREE

### Tusiko's birthday

I wake up to Cora's singsong murmur in my ear:
Happy birthday to you,
Happy birthday to you,
Happy birthday dear Tusiko,
Happy birthday to youuuu!!!
– Wake up! It's your Tusiko's birthday!!! Be the first to congratulate her, – she warns.
"Just look at this cheeky little one! Reminding me of my daughter's birthday and waking me up into the bargain" – I'm thinking to myself, getting out of bed hurriedly.
I call Tusa, congratulate her... irritated that I can't see her or hug her.
– If you didn't arrive, I would embrace my daughter, she would bring her friends and have fun. But no, you had to come and ruin everything. Now she's stuck at home, isolated, – I yell into her face.
She suddenly crumbled, taking on a sad face, and said nothing.
I did not expect that.
She kept silent until the evening, sitting on the top of the wardrobe, looking down her plump fingers and not swinging her feet anymore.
Every time I entered the room, I would open the wardrobe, pretending that I had some business there and stealing glances at her. She just sat there, watching me in silence.
My mother provided lunch in a metal bowl. One similar to those used in prison to feed prisoners. Where on earth did she get one? She did not even touch it. She is such a coward and strictly follows all the regulations. Moreover, even in the bed she wears mask and never touches the items I have touched before. As she is aged and by profession she is a doctor – I understand her. I put the bowl on the dresser in the hall, she came in with another plate and sloped the food down into the metal bowl. Then dinner arrived. She did not budge from the wardrobe.
I spent the day watching a TV show and went to bed.
– Aren't you hungry? You haven't eaten anything today, – I asked out of politeness.
She shook her head.
– You know, Tika, I will never have kids. I'm not allowed. Today I wanted to have fun with Tusiko, but after what you said I changed my mind. As if it were my fault that I was born like this, – she told me, a tear rolling down her cheek.
I tucked myself in the warm bed, without giving her any answer.
But I was thinking to myself: She's right, it's not her fault she came to the world like this.

# DAY FOUR

## Making friends

I wake up to a shriek of laughter at 8 a.m.
-What's up? What are you laughing at this early morning? – I ask her rubbing my eyes.
– You were raving all night, telling funny stories about your friends...
– What exactly?
– Well, you mentioned your friend long-necked Bokuchava, claiming she was not a proper therapist, that you've lied to her all your life and she allows herself to be deluded. Then you told the story of your friend "queen" Tato, when a cat jumped at her out of a trash bin and clawed her face. Then, the Kakhadze sisters – one of them is always a toastmaster and the other with legs so long that they stick out of bed. The story of when you hid in the bookcase at work and scared the hell out of Vika the accountant, also the story of your boss Irina married for the umpteenth time, and countless congratulations on her weddings. Fiction story about Tazo's Russian wife Ludmila, with a dubious past, Gela's 'looks', the tricks played in Barcelona, and the story of Khutkunchula[1]. Then you mentioned old and new lovers, and it went on and on. I've learned everything there is to know about you in one night, and had a lot of fun. I listened and sniggered, and was just a little louder in the morning. I'm sorry if I woke you up.
I drag myself off the bed and shuffle into the bathroom for my morning routine.

As soon as I was back, I found her sitting at the table, having set the dishes, waiting for my mother to bring breakfast. Since that day, we became friends. We ate whatever Nana provided for us, watched movies and tv shows, read, laughed, sang, and danced together, did exercise, blew up balloons, and walked to and fro in the bedroom so that I did not spend all the time lying around. I was annoyed that I couldn't taste anything, while she ate heartily. My annoyance amused her – she would reset my almost cured head cold for five minutes exactly and then let it pass.
On one occasion, when I was reclining in bed, she brought me a plateful of oranges. As she put the plate down, I realized I could smell them! Can you believe it? I could smell! I attacked the oranges and gobbled them up, marveling at the taste. 'Finally, it is back!' I shouted. I rushed to the bathroom, smelled the toothpaste... nothing... rushed back, grabbed the orange peels, brought it to my nose, and smelled... nothing, I smelled again. Still nothing.
– This is the way this game works, – Cora told me, – Sometimes you can smell, sometimes you can't.
She jumped up to the top of the wardrobe, struck her usual pose, and swung her feet.

1 the main character of a Georgian folk tale